აუდიტორული კომპანია შპს „აუდიტი +"

Auditing Compani „AUDITI +" Ltd

---

# აუდიტორული დასკვნა

## შენობის დემონტაჟის შემთხვევაში მისაღები მეორადი სამშენებლო მასალების საბაზრო ღირებულების შესახებ

ქ.ხაშური 06.07.2016 წ.

აუდიტორული კომპანია შპს „აუდიტი +"-ის (ს/ნ 443854349) დირექტორმა, აუდიტორმა კარლო აბრამაშვილმა (ლიცენზია ზ#6/322, გაცემული საქართველოს პარლამენტთან არსებული აუდიტორული საქმიანობის საბჭოს მიერ 2012 წლის 17 დეკემბერს), მოვახდინე სსიპ „ ხაშურის №8 საჯარო სკოლის" სპორტული დარბაზის დემონტაჟის შემთხვევაში, სადემონტაჟო სამუშაოების და მისაღები მეორადი სამშენებლო მასალების სავარაუდო საბაზრო ღირებულების დადგენა და შესაბამისად აუდიტორული დასკვნის მომზადება.

დამკვეთის, სსიპ „ ხაშურის №8 საჯარო სკოლის" დირექტორის, ქალბატონ მანანა ხიჩაკაძეს მომართვისა და ჩვენს შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, საქართველოში დამკვიდრებული პრაქტიკის შესაბამისად, ჩავატარეთ შეთანხმებული პროცედურები.

წინამდებარე დასკვნაში ჩვენს მიერ გამოთქმული მოსაზრებები და დასკვნები დაფუძნებულია ჩვენს შინაგან რწმენასა, პროფესიულ კომპეტენციაზე და არანაირად არის დაკავშირებული რაიმე დაინტერესებაზე ფინანსური ან სხვა კუთხით.

აღნიშნული შენობის ვიზუალური დათვალიერებით დადგინდა შემდეგი: შენობის საერთო ფართი შეადგენს 400 კვ.მეტრს, არის მართკუთხა ფორმის, გატიხრული. შენობის ძირითად კონსტრუქციულ საყრდენს წარმოადგენს ქარხნული წარმოების რკინა/ბეტონის სვეტები. შემავსებლად გამოყენებულია როგორც საკედლე ფილები, ასევე სამშენებლო აგური და ბლოკი. შენობა გადახურულია წიბოვანი ბეტონის ფილებით, ხოლო შენობის გადახურვის მარჯვენა და მარცხენა კიდეები დაფარულია შედარებით მცირე ზომის ბეტონის ფილებით. შენობა გატიხრულია სამშენებლო ბლოკით. (იხ. ფოტო მასალა)
















ჩვენს მიერ განხორციელდა შენობის დემონტაჟის შემთხვევაში, მსხვრევისა და დაზიანების გათვალისწინებით, მისაღები მეორადი რეალიზაციისათვის ვარგისი სამშენებლო მასალების ღირებულებების დადგენა, ბაზარზე ჩასაბარებელი შესყიდვის ფასების გათვალისწინებით. ბაზრის კვლევისა და ანალიზის შედეგად გამოვლენილი იქნა ანალოგები, რომლებსაც დემონტაჟის შედეგად მიღებული მასალების მსგავსი მახასიათებლები გააჩნიათ. ინფორმაცია ანალოგიური და მსგავსი აქტივების ღირებულებების შესახებ მოპოვებული იქნა ინტერნეტის საშუალებით, ბაზრობიდან, ასევე ჩატარებული იქნა ინტერვიუები კომპეტენტურ პირებთან.

ქვემოთ მოყვანილი ცხრილის მეშვეობით წარმოდგენილია შენობის დემონტაჟის შემთხვევაში მეორადი დანიშნულების სამშენებლო მასალების დასახელება, ზომები, რაოდენობა, ერთეულის საბაზრო ფასები და საერთო საბაზრო ღირებულება:

| # | მასალის დასახელება | მასალის ზომები | რაოდენობა (ცალი) | ერთეულის ფასი (ლარი) | საერთო ღირებულება (ლარი) |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | ქარხნული რკინა/ბეტონის სვეტები (კვადრატული ფორმის) | 3,5მ*0,4მ | 14 | 105 | 1470 |
| 2 | რკინა/ბეტონის ფილები | 6მ*1,50 | 20 | 150 | 3000 |
| 3 | ნიბოვანი რკინა/ბეტონის ფილები | 6მ*1,5მ | 48 | 40 | 1920 |
| 4 | სახურავის საყრდენი რკინა/ბეტონის ფილები (ფერმა) | 10მ | 8 | 250 | 2000 |
| 5 | რკინა/ბეტონის ფილები | 2მ*1მ | 24 | 30 | 720 |
| 6 | სამშენებლო ბლოკი | სტანდარტული | 1650 | 0,30 | 495 |
| 7 | ლითონი (ჯართი) | - | 0,5 ტონა | 160 | 80 |
| | **ჯამი** | | | | **9685** |

დასკვნაში მოყვანილი ფაქტების და გარემოებების გათვალისწინებით, სსიპ „ხაშურის №8 საჯარო სკოლის" სპორტული დარბაზის შენობის დემონტაჟის შემთხვევაში, მისაღები საბაზრო ღირებულების მქონე მეორადი სამშენებლო მასალების საერთო ღირებულებამ შეადგინა **9685** (ცხრაათას ექვსასოთხმოცდახუთი) ლარი.

რაც შეეხება, სკოლის სპორტული დარბაზის შენობის სადემონტაჟო სამუშაოების სავარაუდო ღირებულებას, ყველა თანმდევი ხარჯების გათვალისწინებით (მოსამზადებელი სამუშაოები, დემონტაჟი, მანქანა-მექანიზმები, ტრანსპორტი, მუშახელი, გაწმენდითი სამუშაოები) ჩვენს მიერ შეფასდა 14 000 (თოთხმეტი ათასი) ლარით.

შპს „აუდიტი +"-ის

დირექტორი: კ. აბრამაშვილი

წინამდებარე დასკვნის ორი ეგზემპლარი ჩავიბარე და ჩატარებულ აუდიტთან პრეტენზია არ გამაჩნია

სსიპ „ ხაშურის №8 საჯარო სკოლის"

დირექტორი: მ. ხიჩაკაძე